საქართველოს კანონი

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №28, 18.07.2007, მუხ. 280) მე-6 მუხლის:

ა) 1^2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 45^1 ან 100^2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირისთვის ჩამორთმეული უფლების/უფლებების მოპოვება დასაშვებია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.“;

ბ) 1^3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

1. იმ პირს, რომელმაც 2025 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით ან/და 273-ე მუხლით განსაზღვრული სისხლის სამართლის დანაშაული, ერთჯერადად აღუდგეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი შესაბამისი უფლების აღსადგენად მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიას (შემდგომ – კომისია).

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების აღდგენა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის (დინამიური-ნარკოლოგიური გამოკვლევის) დასკვნის წარდგენის საფუძველზე, რომელიც შესაბამისი უფლების აღდგენის შესახებ მიმართვასთან ერთად წარედგინება კომისიას.

4. კომისია უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხი ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მიმართვიდან 2 თვის ვადაში.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყველაშვილი**

თბილისი,

17 დეკემბერი 2025 წ.

N1344-IVმს-XIმპ